შპს „მაგთიკომის“

საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა)

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში – ***ოფერტა***), არეგულირებს საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების პირობებს ***მაგთიკომსა*** და ***აქცეპტანტს*** შორის.

1. მუხლი. ოფერტის საგანი

1.1. წინამდებარე ***ოფერტით მაგთიკომი*** სთავაზობს საერთაშორისო ზარის ტერმინაციის (დასრულების) მომსახურებას (შემდგომში - ***მომსახურება***), „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ პირს (შემდგომში - ***აქცეპტანტი***), ***აქცეპტანტის*** მხრიდან ნების გამოვლენის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების გაფორმების პირობები

2.1 წინამდებარე ***ოფერტით*** გათვალისწინებული ***მომსახურების*** მიწოდება ხორციელდება ***აქცეპტანტის*** მხრიდან წერილობით ნების გამოვლენის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმებამდე განხორციელდა მომსახურების მიწოდება, მოქმედებს წინამდებარე ***ოფერტით*** გათვალისწინებული პირობები.

2.2 ***მომსახურების*** მიღების მიზნით ***აქცეპტანტმა*** წერილობით უნდა მიმართოს ***მაგთიკომს***. წერილობით მიმართვაში (შემდგომში - ***განაცხადი***) ***აქცეპტანტმა*** უნდა დაადასტუროს, რომ იგი გაცნობილია ***ოფერტას*** და აცხადებს უპირობო აქცეპტს ***ოფერტის*** ყველა პირობის მიმართ. უპირობო აქცეპტი უნდა განახორციელოს ასევე ყველა იმ პირმა, რომელსაც ***ოფერტის*** ძალაში შესვლის დღისათვის მიეწოდება ***მომსახურება***.

2.3 ***მომსახურების*** მისაღებად აუცილებელია, ***აქცეპტანტსა*** და ***მაგთიკომს*** შორის არსებობდეს ქსელების ურთიერთჩართვა.

2.4 წერილობითი ***განაცხადი*** უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:

2.4.1 უპირობო აქცეპტს ***ოფერტის*** ყველა პირობის მიმართ;

2.4.2 საერთაშორისო ზარის დასრულების სავარაუდო ტრაფიკს;

2.4.3 საკონტაქტო პირების სახელს, გვარს, და ტელეფონის ნომრებს, ელექტრონული ფოსტის მისამართებს;

2.4.4 ***მომსახურების*** მისაღებად წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობას, რომლის მინიმალური ოდენობა შეადგენს 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში.

2.5 ***მაგთიკომის*** მოთხოვნის შემთხვევაში, ***აქცეპტანტი*** ვალდებულია სრულად დაფაროს ***ოფერტით*** გათვალისწინებულ ***მომსახურებიდან*** ან/და ***მაგთიკომთან*** არსებული სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობიდან ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავალიანება (შემდგოში - ***დავალიანება***).

2.6 ***აქცეპტანტის*** მხრიდან 2.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ***აქცეპტანტის*** მიერ წარმოდგენილი ***განაცხადი*** არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად ***მაგთიკომის*** მხრიდან არ წარმოშობს ვალდებულებას მიაწოდოს ***მომსახურება.*** ასეთ შემთხვევაში, ***აქცეპტანტი*** ვალდებულია წარუდგინოს ***მაგთიკომს დავალიანების*** გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მხოლოდ ამის შემდგომ ჩაითვლება ***განაცხადი*** წარმოდგენილად.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი წერილობითი ***განაცხადი*** არ აკმაყოფილებს 2.4 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე პირობას ან ***მაგთიკომის*** მხრიდან გამოყენებულ იქნება ***დავალიანების*** დაფარვის მოთხოვნის უფლება, ***აქცეპტანტს*** აღნიშნული თაობაზე ეცნობება 2 სამუშაო დღის ვადაში.

2.8 იმ შემთხვევაში, თუ ***განაცხადი*** აკმაყოფილებს ოფეტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ***მომსახურების*** მიწოდება დაიწყება ***განაცხადის*** ჩაბარებიდან და ***მომსახურების*** მისაღებად საფასურის ჩარიცხვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

3. მუხლი. მომსახურების საფასური (ტარიფი) და ანგარიშსწორების პირობები

3.1 ***მომსახურების*** საფასური შეადგენს:

3.1.1 მობილურ საკომუნიკაციო ქსელში ---- აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში, გადასახადების ჩათვლით;

3.1.2 ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელში ---- აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში, გადასახადების ჩათვლით.

3.2 ***მომსახურების*** მიწოდება ხორციელდება წინასწარი გადახდის პრინციპით.

3.3 ***აქცეპტანტი*** ვალდებულია წინასწარ ჩარიცხოს ***მაგთიკომის*** ანგარიშზე ***მომსახურების*** საფასური.

3.4 ***მაგთიკომი*** ვალდებულია გაუწიოს ***აქცეპტანტს მომსახურება***, მხოლოდ იმ მოცულობით (ოდენობით), რომლის საფასურიც ტოლია ***აქცეპტანტის*** მიერ წინასწარ გადახდილ თანხისა.

3.5 იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ გადახდილი თანხის ამოწურვის შემდგომ, ***მომსახურების*** მიწოდება გაგრძელდება, ***აქცეპტანტი*** ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური.

3.6 ***აქცეპტანტის*** მიერ მიღებული ***მომსახურების*** მოცულობის (ოდენობის) აღიცხვას ახორციელებს ***მაგთიკომი*** და აღნიშნული ინფორმაცია ***აქცეპტანტს*** მიეწოდება საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე.

3.7 ***მაგთიკომი*** და ***აქცეპტანტი*** ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10(ათი) რიცხვამდე ხელს აწერენ საოქმო გადაწყვეტილებას, სადაც ასახული იქნება გაწეული ***მომსახურების*** მოცულობა (ოდენობა). საოქმო გადაწყვეტილებაში შესაძლებელია ასევე ასახულ იქნას მხარეთა შორის სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ერთმანეთისათვის გაწეული სხვა სახის მომსახურებები.

3.8 ***მომსახურების*** საფასური გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება ***მაგთიკომის*** საბანკო ანგარიშზე.

3.9 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,1%–ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება ანგარიშსწორების ვადის დარღვევის დღიდან, მიუხედავად წერილობითი შეტყობინების გაგზავნის თარიღისა. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევ მხარეს დაეკისრება მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ.

4. მუხლი. მომსახურების მიწოდების შეჩერება/შეწყვეტა

4.1 ***მაგთიკომი*** უფლებამოსილია ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს ***მომსახურების*** მიწოდება, როდესაც ***მაგთიკომის*** მხრიდან გაწეული იქნება ***აქცეპტანტის*** მიერ წინასწარ გადახდილი თანხის ღირებულების ***მომსახურება.***

4.2 იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ გადახდილი თანხის ამოწურვის შემდგომ, ***მომსახურების*** მიწოდება გაგრძელდება, ***აქცეპტანტი*** ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური და ***მგთიკომს*** რჩება უფლება ნებისმიერ დროს შეაჩეროს ***მომსახურების*** მიწოდება.

4.3 ***მგთიკომი*** უფლებამოსილია შეაჩეროს მომსახურების მიწოდება მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.4 5.1-5.2 პუნტების თანახმად შეჩერებული ***მომსახურება*** აღდგება, ***აქცეპტანტის*** მიერ დავალიანების (ასეთის შემთხვევაში) და 2.4.4 პუნქტით გათვალისწინებული ***მომსახურების*** მინიმალური საფასურის ***მგთიკომის*** ანგარიშზე ასახვიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

4.5 ***მომსახურების*** მიწოდება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

4.5.1 მხარეთა ორმხრივი წერლობითი შეთანხმებით;

4.5.2 ***ოფერტის*** შეწყვეტის, ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის შემთხვევაში;

4.5.3 ***ოფერტით***, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4.6 ***მომსახურების*** შეწყვეტის/შეჩერების შესახებ ***მგთიკომი*** ატყობინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

5. მუხლი. უსაფთხოების დაცვა

5.1. ***მგთიკომი*** და ***აქცეპტანტი*** ვალდებულნი არიან 24 საათიან უწყვეტ რეჟიმში, ყოველ კალენდარულ დღეს (მათ შორის უქმე და დასვენების დღეებში) აკონტროლონ ქსელის უსაფთხოება და გამართული ფუნქციონირება.

5.2. ***აქცეპტანტი*** იღებს ვალდებულებას, რომ დაიცავს საკუთარი ქსელის უსაფრთხოებას, დანერგავს მექანიზმებს (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით), რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მომსახურებაში არსებული თაღლითური ქმედების (fraud) ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას. ავამე დროს ***მხარეები*** თანხმდებიან, რომ მჭიდროდ ითანამშომლებენ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

5.3. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად და ოპერატიული რეაგირების მიზნით, ნებისმიერი საეჭვო ტრაფიკის (fraud) (ზარის წარმომწყები ნომრის დაფარვის/კორექტირების/შეცვლის/გადაკეთების, სერვერის და - IP მისამართის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის ან სხვა შემთხვევებში, რომელიც ქმნის საფუძვლიან ეჭვს თაღლითული ქმედების (fraud) არსებობაზე) აღმოჩენის შემთხვევაში, ***მგთიკომი*** იტოვებს უფლებას შეაჩეროს ზარების მიღება კონკრეტული მიმართულებებიდან/ნომრებიდან ან სრულად შეაჩეროს ***მომსახურების*** მიწოდება, რის შესახებაც ოპერატიულად აცნობებს ***აქცეპტანტს*** და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნებისმიერი საეჭვო ტრაფიკი ჩაითვლება საერთაშორისო ტრაფიკად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

5.4. ნებისმიერ ზარი, რომელსაც არ ექნება ეროვნული ფორმატი (იგულისხმება ზარის წამომწყები - ა ნომერი), ჩაითვლება საერთაშორისო ზარად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

5.5. ***მგთიკომის*** მოთხოვნის შემთხვევაში, ***აქცეპტანტი*** ვალდებულია გამოყოს ცალკე არხი (ტრანკი), რომელიც გამოიყენება მხოლოდ საერთაშორის ზარების ***მგთიკომის*** ქსელში დასასრულებლად. ამ არხის საშუალებით შემოსული ნებისმიერი ჩაითვლება საერთაშორისო ზარად და დაერიცხება შესაბამისი საფასური. ტრაფიკის შემცირების შემთხვევაში ***მგთიკომი*** უფლებამოსილია შეამციროს გამოყოფილი არხების რაოდენობა, იმ მოცულობით, რაც საკმარისი იქნება განაცხადში მითითებული წუთების რაოდენობის მომსახურების გასაწევად.

6. მუხლი. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე ***ოფერტას*** უპირატესი ძალა გააჩნია ***მაგთიკომსა*** და ***აქცეპტანტს*** შორის არსებულ სხვა ხელშეკრულებასა და გარიგებაზე, რომელიც ეხება ამ ***ოფერტით*** გათვალისწინებულ ***მომსახურებას.*** წინამდებარე ***ოფერტასა*** და მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას შორის სხვაობის ან წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესი ძალა ენიჭება და მოქმედებს ***ოფერტით*** გათვალისწინებულ პირობებს.

6.2. ***მაგთიკომის*** მოთხოვნის შემთხვევაში, ***აქცეპტანტმა*** უნდა გააფორმოს ***მაგთიკომთან*** ურთიერთჩართვის/***მომსახურების*** მიწოდების ხელშეკრულება.

6.3. ***ოფერტით*** გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების, ახალი ხელშეკრულების გაფორმების. ***დავალიანების*** დაფარვის, ***განაცხადის*** წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებზე და ანგარიშსწორებისას მხარეები იხელმძღვანელებენ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებებით. წინასწარი ანგარიშსწორება ასევე შესაძლებელია არ იქნას მოთხოვნილი იმ შემთხვევაში, თუ ***მაგთიკომსა*** და ***აქცეპტანტს*** შორის არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ***მაგთიკომი*** მიიჩნევს, რომ არ არსებობს ასეთი მოთხოვნის აუცილებლობა. წინამდებარე პუნქტი არ ზღუდავს ***მაგთიკომის*** უფლებას, მომავალში მოითხოვოს წინასწარი ანგარიშსწორება.

6.4. მხარეები თანხმდებიან, რომ შეტყობინებები შესაძლოა გაგზავნილ იქნას წერილობით და საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე. საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება მიიჩნევა წერილობით შეტყობინებად. საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ერთმენაეთს ახალი საკონტაქტო საფოსტო მისამართის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარისათვის უკანასკნელად ცნობილ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ამ ***ოფერტით*** გათვალისწინებული წესების დაცვით გაგზავნილ შეტყობინებად.

6.5. ***მაგთიკომის*** მხრიდან ***ოფერტაში*** ცვლილების შეტანის შემთხვევაში ***მაგთიკომი*** შეატყობინებს ***აქცეპტანტს*** ცვლილებების თაობაზე და ცვლილებები ძალაში შედის ***მაგთიკომის*** მხრიდან ***აქცეპტანტისთვის*** შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ ***აქცეპტანტი*** არ დაეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს მიიჩნევა, რომ ***აქცეპტანტი*** არ ეთანხმება ***ოფერტის*** პირობებს და ***მაგთიკომი*** უფლებამოსილია დამატებითი გაფრხილების გარეშე შეწყვიტოს ***მომსახურების*** მიწოდება.

6.6. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავის გადასაწყვეტად თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარესთან ინდივიდუალური შეთანხმების შესაბამისად მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟს.

6.7. წინამდებარე **ოფერტა** ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.